ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3619435

ნომერი: AR1548494

თარიღი : 11.10.2017

გაცემის თარიღი : 18.10.2017

გაცნობის თარიღი : 19.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ; ქალაქი თბილისი , ილო მოსაშვილის ქუჩა N3ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანზორ პაპაშვილი პ/ნ 01008007463
- თბილისი ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ. N 18 ბ. 7

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი შარაშიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: დეფანი არქიტექტურა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404967595

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს " ჭავჭავაძის 64ბ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404890891
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლუარა ალშიბაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 31001004572

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1818552
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.04.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერს ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 10 ოქტომბრის AR1548494 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნულ ობიექტზე 2016 წლის 23 მარტის N2540851 ბრძანებით შეთანხმდა პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელსაც ვადა განესაზღვრა 2018 წლის 13 მაისის ჩათვლით. აქედან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამშენებლო სამუშაოების დაწყების მიზნით და მისი გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოები ვერ ესწრება მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადაში ან არ არის დაწყებული სამუშაოები, მაგრამ იწურება მშენებლობის ნებართის მოქმედების ვადა. შესაბამისად მშენებლობის ნებართის ვადის გაგრძელების თაობაზე სამსახურს შეგიძლიათ მომართოთ მხოლოდ ნებართის მოქმედების ვადის გასვლის მოახლოების პერიოდისთვის (ერთი თვით ადრე).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე თქვენს თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.